

მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის გაცემის წესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ითვალისწინებს როგორც საზოგადოების, ისე პოლიტიკური პარტიების ინტერესს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოლიტიკური და საარჩევნო ფინანსების მონიტორინგის განხორციელების მიმართ და შესაბამისად, განსაზღვრავს წესებს, მონიტორინგის რომელ ეტაპზე რომელი ინფორმაცია გაიცემა და ვინ არის უფლებამოსილი მიიღოს ეს ინფორმაცია.

ინფორმაციის გავრცელება წინასწარი შეფასების ეტაპზე

სამსახური განიხილავს მიღებულ ინფორმაციას მოქმედი კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას საქმის გარემოებების მოკვლევის ეტაპის დაწყების თაობაზე.

სამსახური, როგორც წესი, წინასწარი შეფასების ეტაპზე არ გასცემს ინფორმაციას საქმის გარემოებების შესახებ.

ამავე დროს, შესაძლებელია იყოს მიმდინარე საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც მედიასაშუალებების მიერ უკვე გავრცელებულია ან არსებობს რისკი, რომ გავრცელდეს არასწორი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. ასეთ შემთხვევაში, სამსახურის მიერ შეიძლება გამჟღავნებულ იქნეს ინფორმაცია მოკვლევის ობიექტისა და საქმის გარემოებების შესახებ.

აგრეთვე, როდესაც წინასწარი შეფასების ეტაპზე მედიასაშუალებებისთვის ცნობილი ხდება საქმის გარემოებების შესახებ დეტალები, სამსახური აუცილებლად მიაწვდის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას როგორც მედიასაშუალებებს, ასევე შეფასების ობიექტს.

წინასწარი შეფასების ეტაპის შემდგომ საქმის დახურვა

წინასწარი შეფასების ეტაპის შემდგომ, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას საქმის დასრულების შესახებ. განმცხადებლის/ინფორმაციის წარმომდგენის არსებობის შემთხვევაში, სამსახური მიაწვდის მას ინფორმაციას აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, სადაც მითითებული იქნება მოტივაცია და არგუმენტები, რომლებიც საფუძველად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აღნიშნული ინფორმაცია არ მიეწოდება მედიას ან შეფასების ობიექტს.

საქმის გარემოებების შესწავლა

თუ სამსახური წინასწარი შეფასების ეტაპის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საჭიროა საქმის

გარემოებების დამატებითი შესწავლა, იგი იღებს გადაწყვეტილებას - დაიწყოს ე.წ. საქმის შესწავლის ეტაპი.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება მედიის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ/დაკავშირებულ პირებს, თუ საკითხი არ უკავშირდება საჯარო ინტერესს და ინფორმაციის გავრცელება აუცილებელი არ არის.

ინფორმაციის გავრცელება შესწავლის მიმდინარეობის ეტაპზე

მედიის მიერ მიმდინარე შესწავლის ეტაპზე არსებული საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, სამსახურის წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან დაადასტურონ საქმის შესწავლის მიმდინარეობა, მაგრამ განსაჯაროვდება ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი მიმდინარე შესწავლის საქმის გარემოებების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, შესწავლის ტიპი და პროცესის დასრულების სავარაუდო ვადები.

ფიზიკური პირები, რომელთა გამოკითხვაც განხორციელდა სამსახურის წარმომადგენლების მიერ მიმდინარე შესწავლის ფარგლებში, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ გამოკითხვის დროს შედგენილი დოკუმენტაციის ასლები და ჩანაწერები, ხოლო სამსახური ვალდებულია მიაწოდოს მათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ინფორმაციის გავრცელება დასრულებული შესწავლის შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ საქმის შესწავლის ეტაპის დასრულების შემდგომ სამსახური მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ აღნიშნული სამუშაო ყოველგვარი ხარვეზის/დარღვევის გარეშე განხორციელდა, სამსახური ინფორმაციას გადაწყვეტილებისა და მოტივაციის შესახებ მიაწვდის განმცხადებელს/ინფორმაციის წარმომდგენს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახური მიიღებს გადაწყვეტილებას შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გაგზავნოს სასამართლოში განსახილველად, სამსახური ინფორმაციას გადაწყვეტილების შესახებ მიაწვდის განმცხადებელს/ინფორმაციის წარმომდგენს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სამსახური ასევე შეატყობინებს სავარაუდო დამრღვევს და მიაწვდის მას დოკუმენტაციის ასლებს. აგრეთვე შესაძლებელია, რომ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს.

დასრულებული შესწავლის შესახებ სამსახური თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ინფორმაციას შესწავლის სუბიექტის ვინაობისა და საქმის გარემოებების ჩათვლით. ინფორმაციაში ასევე იქნება მითითებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

გადაწყვეტილების სასამართლოს ზედა ინსტანციაში გასაჩივრების შემთხვევაში, ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიცვლება მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

ანგარიშის გავრცელება საქმის გარემოებების შესახებ

ზოგიერთ შემთხვევაში, სამსახურმა შესაძლოა გაავრცელოს საქმის დეტალური გარემოებები ან/და საინფორმაციო ანგარიში. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ამას სამსახური საჭიროდ ჩათვლის, საჯარო ინტერესის არსებობის ან საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ანგარიში აუცილებლად გავრცელდება შესწავლის დასრულების შემდგომ, თუ საქმის შესწავლის ან წინასწარი შეფასების ეტაპებზე შუალედური ინფორმაციები იყო გავრცელებული.

წლიური ანგარიშების გავრცელება

სამსახური ყოველწლიურად ავრცელებს ანგარიშს წინა წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ანგარიში მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს წინასწარი შესწავლის ეტაპზე მიღებული საკითხების, წარმოებული მოკვლევებისა და ინტერვიუების, დასრულებული საქმეებისა და შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შესახებ. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია სტატისტიკური ხასიათის ინფორმაცია პოლიტიკურ ფინანსებთან (შემოსავლები/ხარჯები) და განხორციელებულ საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით.